სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია

1 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. პ. ალექსანდროვი, ამხანაგები **გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. რონტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ხ. ე. ხაბეიშვილი, ჟ. ქ. შარტავა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **დ. ვ. კუზნეცოვი**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **პ. ნ. ფედოსეევი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. ქ. **ხარაძე**, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდიუმების წევრები, თვალსაჩინო მეცნიერები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ (ამხ. შევარდნაძის სიტყვა გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პარტიულ გაზეთებში).

სესიაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი პ. ნ. ფედოსეევი. (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 127
(7438)

3 ივლისი, კვირა.
1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

● ცხენოსნობა

მოსკოვში, „ბიტცის“ საცხენოსნო სპორტულ კომპლექსში მიმდინარე ცხენოსანთა შეჯიბრებაში სამჭიდის პირველი სახეობის — სამანეჟო სვლის შემდეგ საქართველოს ნაკრები (ო. ჯაფარიძე, ვ. ტუიევი, ა. სამველიანი, ო. ნარმანია) 254,1 საჯარიმო ქულით X ადგილზე იმყოფება. ხვალ ისინი საველე გამოცდაში — კროსში იასპარეზებენ.

გუშინ საღამოს ცხენოსნებმა VIII სპარტაკიადის მედლების პირველი კომპლექტი გაითამაშეს წინაღობათა გადალახვაში (გუნდური პირველობა). საქართველოს ნაკრები I ტურის შემდეგ 87 საჯარიმო ქულით VII ადგილზე იყო.

შეჯიბრება გვიან ღამით დამთავრდა.

● მაგიდის ჩოგბურთი

მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა ტურნირი ლვოველთა დიდ ინტერესს იწვევს. პირველ დღის ყურადღების ცენტრში იყო უკრაინის და ბელორუსიის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. მასპინძელთა კოლექტივს ქვეყნის ჩემპიონი მ. ოვჩაროვი მეთაურობს. მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია ა. პოლოვინკამ, მაგრამ გამოცდილებამ მაინც იჩინა თავი — ოვჩაროვმა გაიმარჯვა 2:1 (21:15, 17:21, 21:14). უკრაინის გუნდმა ამ დღეს პირველი გამარჯვება მოიპოვა — 5:2.

სამწუხაროდ, საქართველოს გუნდმა წააგო პირველივე შეხვედრა აზერბაიჯანის გუნდთან — 0:5. ასეთივე ანგარიშით ტაჯიკეთმა მოუგო უზბეკეთს, სომხეთმა — მოლდავეთს, ესტონელებმა 5:1 დაამარცხეს ლატვიელები.

ქალთა შორის პირველი დღის შედეგები ასეთია: სომხეთი — ლენინგრადი — 5:1, უზბეკეთი — მოლდავეთი — 5:3, ბელორუსია — აზერბაიჯანი—5:3, თურქმენეთი — მოსკოვი — 0:5, ტაჯიკეთი — უკრაინა — 0:5.

უნივერსიადა გაიხსნა!

ედმონტონი, 2 ივლისი. კანადის ამ ქალაქში დაიწყო მსოფლიოს სტუდენტური თამაშები.

საზეიმო მარშის ხმაზე ტრიბუნების წინ გაიარეს უნივერსიადაში მონაწილე 94 ქვეყნის სპორტსმენებმა. მათგან ყველაზე ხალხმრავალი იყო სსრ კავშირის, ჩინეთის, კუბის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის დელეგაციები.

გაიმართა პირველი სტარტებიც. უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები, ჩემპიონები, რეკორდსმენები. პირველი სტარტების წინ გაიმართა საბჭოთა სპორტსმენთა ტრადიციული შეკრება. მათ სიტყვით მიმართეს დელეგაციის ხელმძღვანელმა, სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რიაშენცევმა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ვ. ვასინმა.

ფრთაშესხმული თბილისელი „ნერეიდები“

ზღვის ღვთაების — ნერევსისა და დორიდას ქალიშვილებსაც კი შეშურდებოდათ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გამართულ სინქრონულ მოცურავეთა საკავშირო პირველობის მონაწილეების ხილვა.

შეჯიბრების 75 მონაწილე ნერეიდების მსგავსად წყალშიც ცეკვავდა და „ხმელეთზეც“. ოღონდ ისინი ტრიტონებს კი არა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცეკვაში.

მაყურებელთა მხურვალე ტაში და მსაჯთა ყველაზე მაღალი შეფასება, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოველებმა დაიმსახურეს. თუ კი რამ „ოქრო“ იყო ამ შეჯიბრებაზე, ყველა მათ მოიპოვეს.

საქართველოს წარმომადგენელთაგან „სოლო“ გამოსვლაში საუკეთესო იყო ნანა პატარაია, რომელმაც VI ადგილი დაიკავა. წყვილთა ასპარეზობაში იმავე ადგილზე გავიდნენ ნანას თანაგუნდელები, ტყუპი დები ანა და ვალენტინა ჩეპონკუსები. ჯგუფურ ვარჯიშში ჩვენმა გოგონებმა VII ადგილი დაიკავეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ზღვის ფერიები III ადგილზე გავიდნენ. ისინი 8 ქულით ჩამორჩნენ II ადგილზე გასულ რსფსრ-ს ნაკრებს, რომელმაც 784,26 ქულა მოაგროვა, უძლიერესის სახელი კი, როგორც „ლელოს“ მკითხველმა იცის, მოსკოველებმა მოიპოვეს.

რა თქმა უნდა, საქართველოს გოგონების მიერ გუნდურ ჩათვლაში დაკავებული III ადგილი ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ მაინც ერთგვარი უკმარისობის გრძნობა გვაქვს, რადგან პირად პირველობაში საპრიზო ადგილის მიღმა დარჩნენ. თუმცა, მათ სხვა მხრივ გამოიჩინეს თავი...

მითიური ნერეიდები, მოგეხსენებათ, ზღვის ულამაზესი ახალგაზრდა ქალები არიან. სილამაზეში, მომხიბვლელობაში და გრაციოზულობაში ზღვის ფერიებს არც თბილისში გამართული შეჯიბრების მონაწილენი ჩამოუვარდებოდნენ. ულამაზესთა შორის ულამაზესიც არის და ასეთად, ანუ „მის შეჯიბრებად“, თბილისელი ნანა პატარაია აღიარეს. მანვე დაიმსახურა პრიზი ეროვნული ცეკვების საუკეთესო შესრულებისთვის. ასპარეზობის ყველაზე პატარა მონაწილისთვის განკუთვნილი პრიზიც თბილისელებს დარჩათ. მისი მფლობელი აღმოჩნდა ნინო მაისურაძე და, ამდენად, როგორც იტყვიან, ნინოს მომავალი წინ აქვს.

როგორც სინქრონულ ცურვაში სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელმა ი. ბუგაეცმა გვითხრა, ამ შეჯიბრებისთვის ნიშანდობლივი იყო ნორჩი სპორტსმენების თავგამოდებული ბრძოლა.

— ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 1960 წელსა და გვიან დაბადებული სპორტსმენები, — ამბობს ი. ბუგაეცი. — მაგრამ ფინალისკენ არაერთმა 15-16 წლის გოგონამ გაიკაფა გზა. გამოჩნდა ბევრი ახალი სახელი. მათ შორის, ვინც ბოლო ხანს ოსტატობა საგრძნობლად აიმაღლა, უნდა აღვნიშნოთ თქვენი ნანა პატარაია და რსფსრ-ს წარმომადგენელი ოლგა ბელაია, რომელმაც „პროგრესის პრიზი“ დაიმსახურა. ეს მეტად სასიამოვნოა. სასიხარულოა ისიც, რომ უკანასკნელ წლებში სინქრონული ცურვის „გეოგრაფია“ ფართოვდება. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სპორტის ეს სახეობა ოლიმპიური თამაშებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს. ახლა, ამ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, სომხეთის, მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს წარმომადგენლები. მათგან ჩვეული ოსტატობით იასპარეზეს მოსკოველებმა. საინტერესო გუნდები ჰყავთ ბელორუსიას, უკრაინას, ლენინგრადსა და საქართველოს.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე იასპარეზებს და თბილისში გამართული პაექრობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გენერალური რეპეტიცია გახლდათ მომავალი დიდი სტარტების წინ. იმედია, თბილისელ ფერიებს გუნდურ პირველობაში ამჯერად მოპოვებული III ადგილი ფრთებს შეასხამთ და უფრო დიდი მონდომებით შეეცდებიან სპარტაკიადაზე მაყურებელთა და მსაჯთა მოხიბვლას.

ა. გურასაშვილი.

ტექნიკური შედეგები:

ერთეულთა გამოსვლა. მ. ჩერნიაევა—164,93, ლ. ხაბიბულინა — 160,78, ე. დაშინა (ყველა — მოსკოვი — 157,88. **წყვილთა გამოსვლა.** ე. ლავრიკი—მ. ჩერნიაევა— 163,03, ლ. ოსიპოვა — ი. პოდმარიოვა — 159,25, ე. დაშინა —ლ. ხაბიბულინა (ყველა — მოსკოვი) — 158,93. **ჯგუფური ვარჯიში.** მოსკოვი-I — 156,27, მოსკოვი-II — 153,95, რსფსრ — 132,71.

კალათბურთი ახლებურად?

ამას წინათ კვიპროსზე გაიმართა ევროპის ქვეყნებისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის კალათბურთის ეროვნული ფედერაციების XXVIII მუდმივმოქმედი კონფერენცია. განიხილეს ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტი.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბ. სტანკოვიჩმა (იუგოსლავია) და ევროპის საკალათბურთო ფედერაციების კავშირის ალმასკომის პრეზიდენტმა რ. ბიუსნელმა წამოაყენეს წინადადება, ფეხბურთის მსგავსად, ჩემპიონატის წინასწარი, შერჩევითი ტურნირის მიმოსვლით ჩატარების შესახებ. ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი იტალიის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებმა. მათი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ბევრ ქვეყანაში წლების განმავლობაში არ აქვთ საშუალება იხილონ თავიანთი ნაკრების თამაში, რომლებიც საზღვარგარეთ გამოდიან. იმ შემთხვევაში კი თუ ჩემპიონატის ჩატარების ახალ სისტემას მიიღებენ, ეს დიდად შეუწყობდა ხელს კალათბურთის განვითარებას ამ ქვეყნებში, ვინაიდან მათ მოედნებზე საზღვარგარეთის საუკეთესო საკლუბო გუნდების გამოსვლა თავისთავად დიდი იმპულსი იქნება. ამას გარდა, სხვადასხვა ჩემპიონატების წინასწარი შეხვედრები, როგორც წესი, ნაკლებად იზიდავს მაყურებელს და ამიტომაც იგი ცარიელი ტრიბუნების წინ მიმდინარეობს.

კონტინენტის ჩემპიონატის ახალმა ფორმულამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დელეგატების ერთმა ჯგუფმა სტატუს-კვოს შენარჩუნება მოითხოვა, ბევრი დელეგატი კი იმ აზრისა იყო, რომ შემცირდეს ფინალისტი გუნდების რაოდენობა (6-8).

საბოლოოდ უმრავლესობამ (25 კაცი) მხარი დაუჭირა ასპარეზობის ახალ ფორმულას. მიუხედავად ამისა, წლის განმავლობაში ყველა ეროვნულმა ფედერაციამ ფიბა-ს უნდა წარუდგინოს წერილობითი დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მუდმივმოქმედი კონფერენცია მომავალ წელს ათენში თავის მორიგ სესიაზე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ევროპის ვაჟთა მომავალი ჩემპიონატი გაიმართება 1985 წელს გფრ-ში —ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებული ფორმულით. 12-ვე გუნდი დაიყოფა 2 ჯგუფად, თითოეულში 6-6. წინასწარი (წრიული სისტემით) შეხვედრების 4-4 საუკეთესო კოლექტივები გადიან შემდეგ წრეში და ევროპის ჩემპიონის პრეტენდენტის სახელისთვის ოლიმპიური სისტემით განაგრძობენ ბრძოლას მეოთხედ და ნახევარფინალებში. ნახევარფინალში დამარცხებულნი ბრინჯაოს მედლებს შეეცილებიან ერთმანეთს.

კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს

რამ განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენა სპორტის ისეთ ტრადიციულ სახეობაში, როგორიცაა ჭიდაობა და რა ღონისძიებები ტარდება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად?

ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენა სპორტის ისეთ ტრადიციულ სახეობაში, როგორიცაა ჭიდაობა, განაპირობა იმან, რომ თავის დროზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მეცნიერებისა და სპორტის ინტეგრაციას; სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გარდაქმნას თანამედროვე სამეცნიერო-მეთოდური მოთხოვნების შესაბამისად; კადრების შერჩევას, განაწილებას, აღზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. საგრძნობლად მოისუსტებდა დისციპლინა; ჭიდაობის განვითარების საქმეში თვალისახვევა და ფორმალიზმი ცხოვრების ნორმებად იქცა, ნაკლებად ზრუნავდნენ სრულფასოვანი რეზერვების მომზადებაზე, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების სისტემის შექმნაზე; ჭიდაობის გეოგრაფიის გაფართოებასა და რაციონალურ დისლოკაციაზე. მივიწყებას მიეცა ქართული ჭიდაობა და მისი მდიდარი ტექნიკური არსენალი.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სპორტკომიტეტმა 1982 წლის 5 ოქტომბერს კოლეგიის სხდომაზე მიიღო საპროგრამო მნიშვნელობის დადგენილება, რომლის საფუძველზე მუშავდება ერთიანი რესპუბლიკური პერსპექტიული გეგმა, რაც პირველი ცდაა საქართველოს ჭიდაობის ისტორიაში. სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ჭიდაობის სახეობების გეოგრაფიისა და დისლოკაციის რაციონალური გაფართოების თვალსაზრისით, რასაც საფუძვლად დაედო კონტინგენტის, ბაზისა და კადრის ერთიანობის პრინციპი. ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდური და მედიკო-ბიოლოგიური მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით ძირეული ცვლილებები მოხდა სამეცნიერო კომპლექსური ჯგუფების შემადგენლობასა და მათ მიზანმიმართულ საქმიანობაში. გადახალისდა მწვრთნელთა საბჭოების შემადგენლობა. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა სემინარები. სემინარები მომავალში ჩატარდება ყოველწლიურად, ცალკეული რეგიონების მიხედვით; ქართულ ენაზე გამოსაცემად მზადდება სასწავლო-მეთოდური ხასიათის ლიტერატურა; გაჩაღდა ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონტროლის, შემოწმებისა და დახმარების სისტემის ეფექტურობის ამაღლებას; სრულფასოვანი რეზერვების მომზადებას; მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერებათა მიღწევების დანერგვას, სპორტული წვრთნის სრულყოფას.

მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე ექსპლოატაციაში შევა 11 ახალი დარბაზი, რეკონსტრუირდება 10, შეკეთდება და კეთილმოეწყობა 23, ნაკრები გუნდებისათვის გაკეთდება რეაბილიტაციის ცენტრი.

რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა მოითხოვს გარკვეულ დროსა და ღონისძიებათა კომპლექსს. ზემოხსენებული ღონისძიებანი მხოლოდ ნაწილია იმ საერთო პროგრამისა, რომელიც ითვალისწინებს ჭიდაობის სახეობების შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში.

შ. ქველიაშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

● რეგბი

თბილისელები — ფინალში

ხალხმრავლობა იყო ამ დღეებში ხაშურის „იბერიის" სტადიონზე. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, რეგბის პოპულარიზაციის მიზნით აქ ჩატარდა საკავშირო ზონალური ტურნირი — „ოქროს ოვალი" ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" პრიზზე მინი-რეგბიში (1968-70 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის განათლების სამმართველოს, მოსკოვის, ტაგანროგის, ტირასპოლისა და ნალჩიკის ნორჩი რეგბისტები. სამწუხაროდ, შეჯიბრებას თავი აარიდეს ლენინგრადის, ქუთაისისა და თბილისის „შევარდენის" გუნდებმა.

მინი-რეგბი განსხვავდება დიდი რეგბისაგან. გუნდში 8 სპორტსმენია: 3 თავდამსხმელი, 2 ნახევარმცველი, 2 სამმეოთხედილი და 1 მცველი, მატჩი 40 წუთს გრძელდება (ორი 20-20-წუთიანი ტაიმი), თანაც კარები არ არის, რის გამოც საჯარიმო დარტყმა არ სრულდება და შეტევა გრძელდება მეტოქის ჩათვლის მოედანზე ბურთის „დამიწებამდე".

ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. გუნდები თითოჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. თამაშები იმართებოდა დღეგამოშვებით, ხოლო დასვენების დღეები ექსკურსიებს ეთმობოდა.

ბრწყინვალედ იასპარეზეს თბილისელმა რეგბისტებმა: მათ კარგი ტექნიკური, ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს, ყველა თამაში დიდი ანგარიშით მოიგეს და დამსახურებულად მოიპოვეს „ოქროს ოვალის" ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება (გადამწყვეტი შეხვედრები აგვისტოში ტაგანროგში გაიმართება).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს მამუკა ღუდუშაური, ნახევარმცველად — გია ოქროპირაშვილი, თავდამსხმელად — მოსკოველი სერგეი კორობლიოვი, საუკეთესო ბომბარდირი გახდა გოჩა ომიაძე.

შეჯიბრების დამთავრებისთანავე რამდენიმე ინტერვიუ ავიღეთ.

ზურაბ რეხვიაშვილი (შეჯიბრების მთავარი მსაჯი): უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მეორე მდივანს ელგუჯა გელაშვილს, საშეფო ორგანიზაციებისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელებს, რომლებმაც თამაშისა და დასვენების საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს.

რაც შეეხება ტურნირს, იგი ძალიან საინტერესო იყო. ბიჭებმა ითამაშეს ლამაზი, კომბინაციური რეგბი. საერთოდ, საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა იასპარეზეს ხაშურში და მით უფრო სასახელოა თბილისელთა გამარჯვება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ბიჭები ერთი თავით მაღლა იდგნენ მოწინააღმდეგეზე. მათთან ერთად ამ ქვეჯგუფიდან ფინალურ ტურნირში იასპარეზებს მოსკოვის გუნდი.

ბათუ კევლიშვილი (თბილისის გუნდის უფროსი მწვრთნელი): ჩვენი გუნდის თამაშით, ცხადია კმაყოფილი ვართ. ყველა დავალება, რაც მათ ჰქონდათ მიცემული, შეასრულეს. ამ დღეებში შავი ზღვის სანაპიროზე გავემგზავრებით საწვრთნელ შეკრებაზე. აგვისტოში „ოქროს ოვალის" ფინალია და ბიჭებს ძნელი ბრძოლები ელით.

ვლადიმერ ბოლდირევი (მოსკოვის გუნდის უფროსი მწვრთნელი): აქამდე საქართველოში რამდენიმეჯერ ვიყავი, მაგრამ ჩემი „ნაცნობობა" მხოლოდ თბილისით ამოიწურებოდა. ახლა კი შესაძლებლობა მომეცა მენახა ხაშური, ბორჯომი, გორი, ქუთაისი. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მოგვიწყვეს ექსკურსიები, გვანახეს სტალინის სახლ-მუზეუმი, გელათი, ხაშურის პიონერთა ვოკალურმა ანსამბლმა „გვირილამ" ტაშისკარში მოგვიწყო კონცერტი, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის გუნდმა, რომელიც ტექნიკურად, გააზრებულად თამაშობს. ბურთის ასეთი ტარება და პასები უმაღლესი ლიგის ბევრ მოთამაშეს შეშურდება. მჯერა, რომ ეს ბიჭები მალე დიდ სარბიელზეც გამოიჩენენ თავს.

გია ოქროპირაშვილი (თბილისის გუნდის ნახევარმცველი, ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე).

— მიხარია, რომ საუკეთესო ნახევარმცველად დამასახელეს. ჩემი კერპი დათო კილასონიაა და ვოცნებობ გავხდე ისეთივე ძლიერი რეგბისტი, როგორიც ის არის. იმედი გვაქვს, თავს არც ფინალში შევირცხვენთ.

ა. ბიბინეიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ხაშური.

ვინ შეაშველებს ხელს?

საქართველოს მოსწავლეთა XXXII სპარტაკიადა

ქუთაისში ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოსწავლეთა XXXII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება ხელბურთში, რომელშიც 200-მდე ნორჩი ხელბურთელი მონაწილეობდა.

ქუთათურებმა მოსწავლე სპორტსმენებს სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზეს — ამ შეჯიბრებისათვის მწყობრში ჩადგა ხელბურთისათვის განკუთვნილი სპორტული კომპლექსი. ახლა ჯერი მწვრთნელებზეა, ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში რესპუბლიკის ნაკრები გუნდები საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრიდანაც მიიღებენ ღირსეულ შევსებას.

ქუთაისელები მაია სებისკვერაძე, გია ფხაკაძე და სოსო ასათიანი, რუსთაველი ელისო ტურაშვილი, სამტრედიელი ირმა ზარნაძე, ბათუმელი თენგიზ ფაღავა, ლანჩხუთელი კახა კვირკველია — აი, არასრული სია იმ ხელბურთელებისა, რომლებსაც გამრჯე შრომით ახლო მომავალში შეუძლიათ კარგი სპორტსმენები გახდნენ. დღეს კი ისინი მხოლოდ პერსპექტიულებად გვევლინებიან: ვინ მაღალტანიანად, ვინ მკვირცხლად, ვინ საზრიანად.

ქუთაისელ ხელბურთის გულშემატკივრებს მეორე სიურპრიზიც ელოდათ, ამჯერად სტუმართაგან: სამტრედიელმა ნორჩმა ხელბურთელებმა, როგორც ჭაბუკებმა, ასევე გოგონებმა კარგი თამაში აჩვენეს. ჭაბუკების (მწვრთნელი ვ. ხელისუფალი) II ადგილიც ამის დასტურია; მათ უკან მოიტოვეს გამოცდილი აჭარელი, თელაველი და ქუთაისელი სპორტსმენები. გოგონები VII ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა მწვრთნელი თ. ლომსაძე სწორ გზას ადგას — მის გუნდში ხომ უმეტესობა VII-VIII კლასელი მოსწავლეებია, რომელთაც მიზანსწრაფვა, შემართება და მონდომება არ აკლიათ. გამოცდილების შეძენა კი მომავლის საქმეა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი თბილისელმა მოსწავლეებმა მოიხვეჭეს (მწვრთნელები, ჭაბუკების — თ. მაცუკაშვილი, გოგონების — ა. ავაკიმოვი), თუმცა მათი უპირატესობა დანარჩენ კოლექტივებზე თვალსაჩინო არ ყოფილა—მხოლოდ ორიოდე ბურთმა გადაწონა გამარჯვების სასწორი აჭარელ და სამტრედიელ ხელბურთელებთან მათს შეხვედრაში. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ საქართველოს ნაკრები გუნდის ძირითად ბირთვს თბილისელები შეადგენენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამჯერად თბილისელები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ.

რაც შეეხება დედაქალაქელ გოგონებს, მათი თამაში ჯერ კიდევ შორსაა საკავშირო დონისგან, რაც ჩვენი ქალთა ხელბურთის საერთო გასაჭირია. მეტს ველოდით მასპინძლებისაგან. თუ გოგონებმა, (მწვრთნელი გ. გურულიშვილი), გააზრებული და თავგანწირული თამაშით შეძლეს საპრიზო სამეულში ადგილის დამკვიდრება, მათ ფონზე ჭაბუკთა გუნდის (მწვრთნელი ჯ. ხარაიძე) თამაში უფერულად გამოიყურებოდა. მხოლოდ გია ფხაკაძე და მეკარე დათო შარაშენიძე იბრძოდნენ თავგანწირვით ყოველ მატჩში.

აშკარად დაქვეითდა აფხაზეთის ხელბურთელთა დონე. გარდა იმისა, რომ მათ ცხრილის მეორე ნახევარში „დაიჯავშნეს" ადგილები (გოგონებმა VI და ჭაბუკებმა VIII საფეხური). მათ რიგებშიც ვერ მოვნახეთ თუნდაც ერთი კანდიდატი რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის. ეს მაშინ, როდესაც ახლო წარსულში ამ კოლექტივში ყოველთვის იყვნენ მწვრთნელი მ. კოპალიანის აღზრდილები.

წაიფორხილეს რუსთაველმა ხელბურთელებმაც (მწვრთნელები ლ. ბროძელი და თ. ხარაიძე), რომელთა დღევანდელი მდგომარეობა აშკარად შეესაბამება მათს შესაძლებლობას.

რესპუბლიკის მოსწავლე ხელბურთელთა თამაშის საერთო დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება საერთო საკავშიროს, რაც ნათლად გამოიხატა გუნდების ტაქტიკურ მომზადებაში. მხოლოდ თბილისელმა მოსწავლეებმა გამოიყენეს დღევანდელი ხელბურთისათვის სასურველი აქტიური თამაში დაცვაში, ე. წ. 3+3, რომელიც თითოეული მოთამაშისაგან დიდ ფიზიკურ მომზადებასა და გამჭრიახობას მოითხოვს.

ორიოდე სიტყვა არბიტრებზე. მსაჯებისაგან სწავლობს ბავშვიც და მწვრთნელიც წესიერებას მოედანზე, ერკვევა სათამაშო წესების ნიუანსებში, თვით შეჯიბრებასაც ლაზათს კარგი მსაჯობა აძლევს. სამწუხაროდ, მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება, მოკლებული იყო ყოველივე ამას, თუმცა ქუთაისის საქალაქო ხელბურთის ფედერაციის (თავმჯდომარე ჯ. მელქაძე) ზრუნვა არ დაუკლია, რათა ეს ხუთიოდე დღე ბავშვთა ხელბურთის ზეიმად ქცეულიყო.

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: გოგონები — თბილისი, აჭარა, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი, აფხაზეთი, სამტრედია, წყალტუბო; ჭაბუკები — თბილისი, სამტრედია, აჭარა, თელავი, ქუთაისი, რუსთავი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული კომკავშირის ქუთაისის ქალაქკომის პრიზები გადაეცათ ქუთაისელ მაია სებისკვერაძესა და თბილისელ გოჩა მაისურაძეს.

ჯ. აბაიშვილი,
საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის სპორტთამაშობათა განყოფილების გამგე.

• • •

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

ა. ლაშქარეიშვილის ფოტოები.

სტარტზე არიან საბავშვო ბაღის აღსაზრდელები

თბილისის პირველი მაისის რაიონში ჩატარდა სკოლამდელთა სპარტაკიადა, რომელშიც შედიოდა: საბავშვო ველოსიპედებით 30 მეტრზე რბოლა, მიზანში ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა, კალათბურთის ბურთით გურზების წაქცევა და მხიარული ესტაფეტა.

სტარტზე გამოვიდა რაიონის საბავშვო ბაგა-ბაღების 16 გუნდი. თითოეული გუნდის შემადგენლობა განისაზღვრებოდა გამოსაშვები ჯგუფების 3 ბიჭითა და 3 გოგონათი. პირად ჩათვლაში გოგონათა შორის იმარჯვა №23 ბაგა-ბაღის აღსაზრდელმა თათია სვანიძემ, მეორე ადგილი დაიკავა №6 ბაგა-ბაღის წარმომადგენელმა ეკა ჩუბინიძემ, მესამე იყო მაკა ზუბიაშვილი №23 ბაგა-ბაღიდან.

ბიჭებს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა ვაჟა გენებაშვილმა № 42 ბაგა-ბაღიდან, მეორე ადგილზე გამოვიდა ედვარდ მანუკიანი (№1 ბაგა-ბაღი), ხოლო №39 ბაგა-ბაღის აღსაზრდელმა ნიკო გამყრელიძემ მესამე ადგილი მოიპოვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს №6 ბაგა-ბაღის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილზე გასული №24 ბაგა-ბაღის ნორჩები სულ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულებს, მესამე ადგილი დაიკავეს №1 ბაგა-ბაღის ბავშვებმა.

სპარტაკიადაში გამარჯვებული ბავშვები და გუნდები დაჯილდოვდნენ მედლებით და სიგელებით.

სპარტაკიადის ყველა ნორჩ მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

ამიერიდან რაიონის სკოლამდელთა სპარტაკიადა ტრადიციული გახდება და სამ ტურად ჩატარდება: ზამთრის, გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში.

დ. გარუჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო სალამოზო

ჟურნალი ნიანგი 60 წლისა

სამოცი წლის იუბილეს ხვდები მართლა კაცურად,
თუ დაგჭირდა, საკბილოსთვის ოკეანეს გაცურავ.
ლუკმას ძალით არვის ართმევ, თვით ვარდება ხახაში,
ხატირალზეც გვეცინება, შენს ფურცლებს რომ გადავშლით.
შენ ხარ რისხვა ყველა ჯურის მავნებლის და ბოროტის,
ვერ იხვენებ, ხანამ ჩანგალს არ მოიქნევ ბოლომდი.
ვისაც კბილი კი გამკარი, ახლაც არის ხვადა,
(შენს ყბასა და შენს ხახაში, ჩემი მტერი ჩავარდა!).
დახდევ, ებრძვი ანტიპოდებს... ზოგჯერ თავზეც გესხმიან,
მაგრამ ვიცით — ეს ვიღაცის ღვარძლია და გესლია.
ამ ბრძოლის ველს შენ არ დათმობ, არც დღესა და არცა ხვალ,
გვწამს და გჯერა კომპრომისზე შენ არასდროს არ წახვალ!
კალამით თუ ლოკატორით, ფოსტითა თუ ბარათით,
ყველას აწვდი მართალ სიტყვას, თან— სიცილის ბარაქით.
მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ძალზე ბევრია,
ზოგიერთნი ისევ ისე ძველ ჰანგებზე მღერიან.
ზოგიერთი ტყემალზე ზის და ჰგონია ქანჩური,
საჭიროა, რომ ასეთებს კვლავ ამოჰკრა პანღური!

დაჰგმე ძველი, დრომოჭმული, ყოველგვარი მანია,
სანაგვეზე გაიტანე, რაც კი გასატანია!
დეზერტირი, დემაგოგი, დეზორგანიზატორი,
სულ ჩანგალზე წამოაცვი, ნიანგურად დატორე!
მლიქვნელი და გაიძვერა, ქურდი, კარიერისტი,
ვინაც ჩხირსაც არ აბრუნებს ხალხისა და ერისთვის,
ვინც ფულზე ცვლის სინდის-ნამუსს და მამულის ღირსებას,
სხვებს ატყუებს წარამარა, თვით ყელამდე ივსება,
ვინაც ქურდობს, ბილწობს, ფლიდობს და ხალხს იგდებს აბუჩად.
შენს ჩანგალს და შენს ბასრ კბილებს, დე, ვერასდროს გადურჩეს!..
ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას შენი ღვაწლიც ატყვია,
ხალხს სიცილით და სიკეთით უშურველი ნატყვიარს.
ნიანგი ხარ, მაგრამ თავზე ქუდი გხურავს კაცური,
გლოცავს ხალხი, ნაღდ სიცილში შენგან გადაქანცული.
კვლავ გისურვებ ბევრ ნაკლსა და ბევრ საკბილოს მიაგნო!
„ლელოც" გლოცავს სიყვარულით, ჩვენო ძმაო, ნიანგო!

„ლელოს" დავალებით: ვან.-ცინ.

ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი

წუთშესვენება საინტერესო შეხვედრებისთვის

ძვირფასო რედაქცია!

დიდი სურვილი მაქვს რაიმე წავიკითხო ცნობილი საბჭოთა ფრენბურთელისა და მწვრთნელის, ჩვენი თანამემამულის გივი ახვლედიანის შესახებ. ჩემი თაობის ადამიანებს მისი ქება-დიდება იმთავითვე გვესმოდა, დაწვრილებით კი ცოტა რამ ვიცით მასზე. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ერთ-ერთ ნომერში ცნობილი ფრენბურთელი იური პოიარკოვი გივი ახვლედიანს 60-იანი წლების მსოფლიო და საბჭოთა ფრენბურთის უდიდეს სპეციალისტად მიიჩნევს.

იქნებ თქვენი გაზეთის ფურცლებზე მოგვითხროთ გ. ახვლედიანის შესახებ — სად გაიზარდა, სად დავაჟკაცდა, სად დაეუფლა სპორტის ამ სახეობის საიდუმლოებებს.

ვფიქრობ, ეს საინტერესო იქნება „ლელოს" ყველა მკითხველისთვის.

ო. ალავიძე,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისი.

●

უმალვე ვიცანით — ბრგე, ლამაზი, ვაჟკაცური გამომეტყველების, ნამდვილი ქართველი კაცის იერით — თუმცა სამ ათეულ წელზე მეტია მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ესა, რომ სათვალეები მოურგია გადაღლილ თვალებზე. 65 წელიწადსაა მიტანებული...

სამი ორდენის კავალერი, ლენინური კომკავშირის ლაურეატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, გადამდგარი პოლკოვნიკი, 1951 წლის ევროპის (პარიზი), 1952 წლის (მოსკოვი) მსოფლიოს ჩემპიონი. მერე როგორც მწვრთნელმა ქვეყნის ქალთა და ვაჟთა მთავარ გუნდებთან თვალსაჩინო გამარჯვებებს მიაღწია დიდ ოლიმპიურ და მსოფლიო ასპარეზზე.

...სასპარტაკიადო მოსკოვში, ლუჟნიკის მცირე სპორტული სარბიელის ტრიბუნაზე ვისხედით — ქალ ფრენბურთელთა პაექრობას ვადევნებდით თვალყურს. ჩვენების თამაშამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და დიდი ხნის წინათ დათქმულ „კითხვა-პასუხს" შევუდექით.

● **როგორ მოხვდით სპორტში, კერძოდ ფრენბურთში, ვისთან გაიარეთ პირველი „სპორტული უნივერსიტეტი?"**

— თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე ვცხოვრობდი. იმხანად ყველა ახალგაზრდას კოტე ლომინაძის სახელი ეკერა პირზე. ჩემზე სულ 2 წლით უფროსი იყო, მაგრამ უკვე მთელი სპორტული სამყარო იცნობდა. „ნაუკას" ფრენბურთელთა გუნდის კაპიტანი და მწვრთნელი გახლდათ, უნივერსიტეტის დარბაზში ვარჯიშობდა. მე ზიი-ში (ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში) ვსწავლობდი. ერთ მშვენიერ დღეს კოტემ თვალი მომკრა კიროვის პარკის სპორტულ მოედანზე და უნივერსიტეტის გუნდში მიმიწვია. სასწავლებლადაც უნივერსიტეტში გადავედი, ეკონომიკურ ფაკულტეტზე. მალე „ნაუკაში" დავიწყე თამაში. შესანიშნავი გუნდი იყო და მასში საუკეთესო სპორტსმენები გამოდიოდნენ: სერგო არაბჩიანი, ლიუდვიგ ავალიანი, არჩილ ჭირაქაძე, ოტოლი ანჯაფარიძე, ბიჭიკო ანდრონიკაშვილი. მოგვიანებით მოსკოვიდან ჩვენს გუნდში გადმოვიდა სახელგანთქმული ფრენბურთელი ალექსეი იაკუშევი. 1940 წელს „ნაუკამ" სსრ კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ასევე მეორე იყო 6 ქალაქის მატჩში მოსკოვის გუნდის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მოსკოველთა ღირსებას იმხანად იცავდნენ ფრენბურთის ისეთი დიოსტატები, როგორნიც იყვნენ ანატოლი ჩინილინი, ვლადიმერ შჩაგინი, ალექსეი იაკუშევი. გუნდი ექვსი წლის განმავლობაში არ დამარცხებულა და აი... ახალგაზრდა ქართველმა ფრენბურთელებმა პირველი მარცხი აწვნიეს ფავორიტებს. სამწუხაროდ, მერე ჩვენც წავაგეთ მასპინძლებთან, ლენინგრადელებთან.

● **რამდენადაც ვიცით, ჭაბუკობისას თქვენ გარკვეული მიღწევები გქონდათ კალათბურთშიც...**

— თავიდან ვვარჯიშობდი... სამმაგ ხტომაში, დღედაღამ ლენინის სახელობის ძველ სტადიონზე ვიყავი. იმხანად მოდურ, ე. წ. ხიშტიანი თოფით ბრძოლასა და წინაღობათა გადალახვაში საქართველოს ჩემპიონი გავხდი. მერე კალათბურთში დავიწყე ვარჯიში გიორგი ავალიშვილთან. ჯერ „სახუნტის" ღირსებას ვიცავდი, მერე, ჯარში გაწვევის შემდეგ (ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე ვიყავი), როდესაც ჭრილობა მივიღე, თბილისის ოფიცერთა სახლის კალათბურთელთა გუნდში („ტდკა") გადმომიყვანეს. იმხანად მწვრთნელი იყო პატივცემული გოგა მეუნარგია. კალათბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ამ გუნდმა ორჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა — 1944 წელს თბილისში და 1946 წელს კიევში. მართლაც კარგი გუნდი იყო. თვითონ განსაჯეთ: ბორის სარქისოვი, სურენ ოგანეზოვი, ლევან ძეკონსკი, ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ ფილიპოვი...

● **ფრენბურთი?..**

— ფრენბურთში 1946 წელს გადმოვედი. ამავე პერიოდში მუშაობა დავიწყე მწვრთნელად თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. ვთამაშობდი ისეთ სახელგანთქმულ ფრენბურთელებთან, როგორნიც იყვნენ ვიქტორ თელია, თორნიკე ყიფიანი, სერგეი ტარახჩიანი, პეტრე კაპლიევი. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონები ვიყავით.

● **მოსკოვში საცხოვრებლად 1951 წელს გადახვედით და საკავშირო ნაკრებშიც დაიწყეთ თამაში...**

— მცირეოდენი კორექტივი: ნაკრებში ჯერ კიდევ 1949 წელს მიმიწვია მისმა უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი ჩინილინმა. ქვეყნის მთავარ გუნდში 7 წელიწადს გამოვდიოდი. მოსკოვში გადასვლისას, როგორც სამხედრო მოსამსახურე, ჩამრიცხეს სახელგანთქმულ ავს-ის გუნდში, შემდეგ ცდკა-ში გადამიყვანეს. გახსოვთ ალბათ ეს გუნდიც: კონსტანტინე რევა, ვლადიმერ სავინი, სერგეი ნეფიოდოვი, ვლადიმერ გაილიტი, გრიგორი გრანატუროვი ფრენბურთის ჭეშმარიტი ვარსკვლავები იყვნენ და ძალზე დიდი პოპულარობა მოუტანეს სპორტის ამ სახეობას.

● **პრესა იმხანად თქვენს შესახებ წერდა: „მაღალი ტანის (189 სმ), კარგი ნახტომის მქონე, დახვეწილი ტექნიკის, ძლიერი დარტყმის, ხელის მტევნის იშვიათი ფლობის, ბლოკს ზემოთ დარტყმის დიდი ოსტატია თავდამსხმელი გივი ახვლედიანი".**

— დაე, ეს სხვებმა განსაჯონ. მე კი ერთს ვიტყვი: არმიელთა გუნდი მაშინ ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი იყო.

● **მწვრთნელობას როდის შეუდექით?**

— თამაში 1956 წელს დავამთავრე და მაშინვე მწვრთნელად დამნიშნეს ცსკა-ში, ახლად ჩამოყალიბებულ ქალთა გუნდში. პირველი ადგილი მოვიპოვეთ I ჯგუფში და მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში გადავედით, სადაც მეხუთე ადგილზე გავედით. პარალელურად ალექსეი იაკუშევთან ერთად ვივარჯიშებდი (მეორე მწვრთნელი ვიყავი) ქვეყნის ქალთა ნაკრებსაც. იგი 1957 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიოს III ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს ცსკა-ს ვაჟთა გუნდის მწვრთნელად დამნიშნეს და ქვეყნის ვაჟთა ნაკრებსაც ჩავუდექი სათავეში. 1959 წელს მსოფლიოს თასი მოვიპოვეთ პარიზში, 1960 და 1961 წლებში ასეთივე ჯილდო მოვიგეთ რიო-დე-ჟანეიროსა და ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 1962 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით მოსკოვში. 1958-1967 წლებში ცსკა-ს ვაჟთა გუნდი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი იყო, ხუთგზის ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს.

● **მწვრთნელ გივი ახვლედიანის წარმატებები ალბათ უფრო მაინც ქალთა გუნდებთან მუშაობასთანაა დაკავშირებული...**

— დიახ, 1967 წელს სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელად გადამიყვანეს. ჩვენმა გუნდმა იმავე წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, 1968 წელს — ოლიმპიური ჩემპიონობა, 1969 წელს — კვლავ ევროპის ჩემპიონობა, 1970 წელს — მსოფლიოს ჩემპიონობა, 1971 წელს — ევროპის ჩემპიონობა, (მესამედ), 1972 წელს — ოლიმპიური ჩემპიონობა, 1973 წელს მოიპოვა მსოფლიოს თასი...

● **როგორც ვხედავთ, ქვეყნის მთავარ გუნდს თქვენი ხელმძღვანელობით 7 წლის მანძილზე დამარცხება არ ჰქონია ოფიციალურ ტურნირებში.**

— 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს გუნდში ავადმყოფობის გამო არ გამოდიოდა თავდასხმის ლიდერი ნინა სმოლეევა. ცხადია, ამანაც რამდენადმე შეასუსტა ნაკრების ძალა. ასეა თუ ისე, ჩვენ მეორე ადგილზე გავედით. კოლექტივიდან წავიდნენ გამოცდილი ოსტატები — გუნდის კაპიტანი ლიუდმილა ბულდაკოვა, ინა რისკალი, როზა სალიხოვა, ლიუდმილა მიხაილოვსკაია, ვერა დუიუნოვა, ნინა სმოლეევა. ისე რომ, მონრეალის ოლიმპიადაზე ფაქტობრივად განახლებული შემადგენლობით ჩავედით, აქაც მეორე ადგილზე გავედით. 20 წლის შემდეგ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დატოვა კოლექტივი...

● **პარალელურად თქვენ შესანიშნავი კლუბის — მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდის უფროსი მწვრთნელიც იყავით.**

— იგი ქვეყნის 13-გზის ჩემპიონი იყო, 10-ჯერ ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს. რაც მთავარია, ქვეყნის ნაკრები წლების მანძილზე სწორედ დინამოელებით იყო დაკომპლექტებული. 1980 წელს დავამთავრე მუშაობა „დინამოში" და მომდევნო სეზონიდან მიმიწვიეს უნგრეთში, ბუდაპეშტის ცნობილი კლუბის „ტუნგსრამის" მწვრთნელ-კონსულტანტად. ეს არის უნგრეთის ერთ-ერთი დიდი ქარხნის (იგი ელექტრონულ ტექნიკას უშვებს) გუნდი. უნდა ითქვას, რომ „ტუნგსრამმა" უკვე ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონობა (1981-1982 და 1982-1983 წლებში), მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა 1983 წლის თასის გათამაშებაში.

● **რას იტყვით ქართულ ფრენბურთზე?**

— სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ეს საინტერესო სახეობა აღარ არის პოპულარული. ფრენბურთი საკმაოდ ძნელი სპორტია (ილეთების შესრულება აქ მეტწილად ჰაერში ხდება) და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას (ხტომა, კოორდინაცია, მოქნილობა) მოითხოვს. მომავალ ფრენბურთელს საფუძველი ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ. ძალზე სერიოზულად უნდა მივუდგეთ სელექციურ მუშაობასაც, განსაკუთრებით რაიონებში, გულმოდგინედ ვეძებოთ „ნედლი" მასალა, შევარჩიოთ მაღალი ტანის ყმაწვილები. ამისათვის საჭიროა გაცილებით უფრო მეტი შეჯიბრებები ჩავატაროთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, თუ გნებავთ, კურორტებზეც კი. რაც შეეხება საქართველოს ქალთა ნაკრებს, რომელიც სასპარტაკიადო მოსკოვში ვნახე, იგი სწრაფი, შეკრული გუნდია, მაგრამ სტაბილური თამაში აკლია თვდასხმაში, ნაკლებად გააზრებულად მოქმედებს ბლოკის „დაყენების" დროს, სასურველია კოლექტივის უფრო მაღალი ტანის მოთამაშეებით დაკომპლექტება.

● **ქვეყნის სხვადასხვა გუნდებში ხალხთა სპარტაკიადებზე ადრე მრავლად გამოდიოდნენ ქართველი ფრენბურთელები...**

— მარია ჭიჭინაძე (მოსკოვი), იური აროშიძე (რუსეთის ფედერაცია), ვაჟა კაჭარავა (მოსკოვი), მეორე პრიზიორს — ლენინგრადის ქალთა გუნდს V სპარტაკიადაზე ბათუმელი ვლადიმერ ზედგენიძე ავარჯიშებდა. სასიამოვნოა, რომ ვაჟა კაჭარავა მშობლიურ თბილისში დაბრუნდა. იგი შესანიშნავი ფრენბურთელი იყო და გამოცდილი მწვრთნელიცაა. ვფიქრობ, მას ძალუძს ბევრი რამ მისცეს ქართულ ფრენბურთს...

● **ვის დაასახელებთ ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფრენბურთელებად?**

— ქალთა შორის ესენია ლიუდმილა ბულდაკოვა, ინა რიკსალი და ნინა სმოლეევა, ვაჟებში — ანატოლი ჩინილინი და კონსტანტინე რევა. სხვათა შორის, მინდა მოგითხროთ ერთი ეპიზოდი რევას — ამ პოპულარული ფრენბურთელის თამაშიდან. 1958 წელი გახლდათ. სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩში ლუჟნიკის მცირე სარბიელზე ღია ცის ქვეშ ერთმანეთს ხვდებოდნენ მოსკოვის „დინამო" და ცსკა. მესამე, დასკვნით პარტიას არმიელები აგებდნენ 7:13. კოსტია თადარიგში მყავდა, რადგანაც უკვე ვეტერანად ითვლებოდა — 37 წლისა იყო. „შეგიძლია?" — შევეკითხე. „შემიძლია!" — მომიგო სწრაფად და... რევამ ზედიზედ 7 (!) ქულა აიღო — 14:13. მერე ჩვენმა ბიჭებმა კიდევ ერთი ბურთი „დაამიწეს" და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს. ეს იყო გუნდში ჩემი მოსვლის პირველ დღეებში...

ო. ნოზაძე.

• • •



სურათზე: თბილისის ნაკრები — 1949 წელს კიევში გამართული ქალაქების მატჩის მონაწილე. მარცხნიდან — კ. ლომინაძე (გუნდის კაპიტანი), ვ. თელია, თ. ყიფიანი, გ. ახვლედიანი, გ. გაბაშვილი, კ. ხირინი, ე. რომანენი, ს. ტარახჩიანი.

ა. შავინის ფოტო.



ძველ მეტოქეთა მატჩი

უმაღლესი ლიგა

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 1 ივლისი.

„დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (0:0).

კიევი: მიხაილოვი, ევსეევი, ოლეფირენკო, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ზავაროვი (გუიგანოვი), ბურიაკი, დუმანსკი, ხლუსი (ბესონოვი), ევტუშენკო, იაკოვენკო.

თბილისი: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე (შენგელია), ჟიბა, ჯოხაძე, ხვანძე, სულაქველიძე, ჩქარეული (გოგრიჭიანი), ცაავა, ყორყიაშვილი

მსაჯი კ. დორინინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა შენგელიამ.

კიევისა და თბილისის დინამოელთა წლევანდელი ამბები კარგად მოეხსენებათ ფეხბურთის მოყვარულებს. უახლოეს წარსულში უმთავრესად სწორედ ეს გუნდები აძლევდნენ ტონს ჩვენს ფეხბურთს, სწორედ ამ კლუბებში თამაშობდნენ სსრ კავშირის პირველი ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები, კიეველები და თბილისელებიც მრავალგზის იყვნენ საკავშირო თუ საერთაშორისო დიდ შეჯიბრებათა ლაურეატები...

მაგრამ კიევის „დინამომაც" და თბილისის „დინამომაც" წლეულს მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები და თუ თბილისის გუნდის ასეთი უფერული თამაში საკავშირო თასისა და ჩემპიონატის გათამაშებებში მეტნაკლებად შეიძლება იმით აიხსნას, რომ გუნდიდან ერთბაშად წავიდა გამოცდილ, წამყვან ფეხბურთელთა მთელი წყება, კიეველთა ასეთი რეგრესი ძნელი ასახსნელია. გუნდის ძირითად შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა და თუ მხოლოდ უფროსი მწვრთნელის ვ. ლობანოვსკის წასვლამ გამოიწვია უკრაინის საუკეთესო გუნდის ეს უჩვეულო ადგილი სატურნირო ცხრილში, მარცხი ტაშკენტში 0:3, ხარკოვში —0:2 და სხვა მისთანანი, ეს მაინცდამაინც ვერაა შექმნილი მდგომარეობის დამაჯერებელი, მთლად გასაგები ახსნა.

მაგრამ, ამ მატჩის დღისთვის, ე. ი. მე-16 ტურისთვის კიეველები საგრძნობლად დაუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს, თბილისელები კი ჯერ კიდევ იქ მყოფებიან, სადაც მათი „საშტატო ადგილი" დიდი ხანია აღარაა.

და, ყოველივე ამის მიუხედავად, ძველი მეტოქეების მატჩი პირველი წრის ფინიშზე დიდ ინტერესს იწვევდა, მისი შედეგით დიდად დაინტერესებული იყო ორივე მხარე.

როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს აკლდათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე (ბლოხინი, ბალტაჩა, ბესონოვი, გუცაევი, შენგელია და სხვ.), მათგან მხოლოდ ბესონოვი და შენგელია გამოვიდნენ მინდორზე შეხვედრის მეორე ნახევარში. თამაშის დასაწყისში ტემპი არ იყო მაღალი, იგრძნობოდა გარკვეული ნერვიულობა, სიფრთხილეც, მაგრამ მეტოქეთა ტაქტიკური ჩანაფიქრი თავიდანვე ნათლად გამოიკვეთა: კიეველები თამაშობდნენ კოლექტიურად, ტაქტიკური კომბინაციებით, წინა ხაზების მოთამაშეები, ფორვარდები ხშირად იხსნებოდნენ და ეძებდნენ თავისუფალ ადგილს, გადაცემასაც დაუყოვნებლივ ღებულობდნენ, თბილისელებმა კი ამჯობინეს ინდივიდუალური გარღვევები, ბურთს ისინი ზედმეტად ატარებდნენ, ღიად დარჩენილი ფეხბურთელი იშვიათად და ისიც მხოლოდ ბოლო მომენტში თუ ღებულობდა გადაცემას. მაგრამ ასეთ შემთხვევებში მასპინძელთა მცველებს, როგორც წესი, საფუძვლიანად ჰქონდათ გამაგრებული ყველა პოზიცია.

შუა ტაიმიდან გამოიკვეთა კიეველთა საგრძნობი უპირატესობა, რამდენიმეჯერ მოსინჯეს მეკარე კუციას მზადყოფნა ოლეფირენკომ, იაკოვენკომ, ხლუსმა, ბურიაკმა— თბილისელთა კარის დარაჯი მუდამ თავის ადგილზე იყო. ორიოდე სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმრებმაც.

შესვენების შემდეგ კიეველებმა ხლუსის ნაცვლად მინდორზე გამოიყვანეს ბესონოვი და მათი იერიშებიც მაშინვე მკვეთრად გამწვავდა. მასპინძლები სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ შეტევას, თბილისელთა მცველები და მეკარე სულ უფრო მეტ დატვირთვას განიცდიდნენ და ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ 64-ე წუთზე საჯარიმო მოედანზე სწრაფად გასული ზავაროვის შესაჩერებლად წესის დარღვევა მოუხდა ჩივაძეს. დაინიშნა პენალტი, ბურიაკმა ზუსტად დაარტყა —1:0.

თითქოს მაინცდამაინც ამ გოლის მიღებას უცდიდნენო, თბილისელებმა დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად შეცვალეს თამაშის მანერა. ამაში, უდავოდ თავისი წვლილი შეიტანა შენგელიამ, რომელიც პარტნიორების მსგავსად დიდ ხანს არ ატარებდა ბურთს და განუწყვეტლივ მოძრაობდა კიეველთა კარის სიახლოვეს. ყველაფერი ის, რაც მცირე ხნის წინ თბილისელთა ნახევარზე ხდებოდა, ახლა მასპინძელთა ხვედრი გახდა. რა თქმა უნდა, ასე კომბინაციურად, მძლავრი იერიშებით და ბურთის დროული გადაცემებით თბილისელებს ადრევე შეეძლოთ თამაში, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს". ბოლო 20 წუთი კიევის „დინამოს" კარი თბილისელთა განუწყვეტელი შტურმის ობიექტი აღმოჩნდა. მოპირდაპირის უშუალო იერიშებში აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა თბილისელი ფეხბურთელი. თამაშის დამთავრებამდე სულ უფრო და უფრო მცირე დრო რჩებოდა, დაიწყო მატჩის ბოლო, 90-ე წუთი, სწორედ ამ უმძიმესი „ცაიტნოტის" დროს იხსნა მდგომარეობა სულაქველიძემ: იგი თამამად ჩაება თავდამსხმელთა იერიშში და საპასუხო გოლიც გაიტანა —1:1.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ძნელ მეტოქესთან, მის მინდორზე ჩატარებულ ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის ბოლო 20 წუთის მანძილზე თბილისის დინამოელებმა მეტად რთულ ვითარებაში გამოავლინეს თავიანთი პოტენციური შესაძლებლობანი. რა თქმა უნდა, სწორედ ასეთი შემართებით და ენერგიით უნდა ეთამაშათ მათ დასაწყისიდანვე, არ მიეცათ მეტოქისთვის ინიციატივის ხელში აღების საშუალება. მაშინ ალბათ შეიძლებოდა 2 ქულაზე ფიქრიც. ჩვენს გუნდს კი, როგორც ცნობილია, კიევში არ გაუმარჯვია 1953 წლის შემდეგ...

რ. ქორიძე.

• * *

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-16 ტურის 3 კალენდარული მატჩი:

„დინამო" მნ. — „დინამო" მ. 1:1.

ცსკა — „ზენიტი" 2:1

„ჟალგირისი" — „სპარტაკი" 1:0.

● ჭადრაკი

ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონია

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მიმდინარე ევროპის ვაჟთა გუნდურ პირველობაზე სათამაშო დარჩა ბოლო ტური.

მეხუთე ტურში, როგორც ცნობილია, საბჭოთა მოჭადრაკეების შეხვედრა იუგოსლაველებთან შეწყდა, როცა ანგარიში საყაიმო იყო — 2,5:2,5. გადადებული პარტიების დამთავრებისას ბელიავსკიმ, ტუკმაკოვმა და ფსახისმა პარტიები ყაიმით დაამთავრეს. საბოლოო ანგარიში კი 4:4-ია. ამ ტურის სხვა შეხვედრები გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ასე დამთავრდა: ბულგარეთი — დანია —4,5:3,5, დიდი ბრიტანეთი — გფრ —6:2, უნგრეთი — ჰოლანდია — 3:5. მეოთხე ტურის გადადებული პარტია ვაგანიანმა ყაიმით დაამთავრა და სსრ კავშირ-დანიის მატჩის საბოლოო შედეგია — 6:2.

ბოლოსწინა მეექვსე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს ხვდებოდნენ. ყაიმით დაამთავრეს პარტიები კარპოვმა, პოლუგაევსკიმ, ვაგანიანმა და იუსუპოვმა, ტუკმაკოვმა წააგო. გადადებული პარტიების დამთავრებისას კი საბჭოთა მოჭადრაკეებმა მაინც მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს 4,5:3,5.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჰოლანდია— ბულგარეთი — 5,5:2,5, იუგოსლავია — დანია —6:2, უნგრეთი —გფრ—4:3 (1).

• • •

გუშინ სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის გუნდი — 4,5:3,5 და მერვედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება.

მეორე ადგილზე გავიდნენ იუგოსლაველი მოჭადრაკეები, მესამეზე — უნგრელები.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

„ტყავის ბურთი"-83

მანისში დაიწყო „ტყავის ბურთის" რესპუბლიკური პრიზის ფინალური გათამაშება უმცროსი (1972-73 წელს დაბადებულნი) ასაკის ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების პირველობებში გამარჯვებული 16 გუნდი. ისინი 4 ქვეჯგუფში ასე განაწილდნენ: I **ქვეჯგუფი** — „ამირანი" (ოჩამჩირე), „მერცხალი" (ქუთაისი), „ბურატინო" (ახალციხე), „მერცხალი" (თელავი); II **ქვეჯგუფი** — „სიხარული" (თბილისი), „კოსმოსი" (ბათუმი), „საპოვნელა" (თერჯოლა), „ავაზა" (გორი); III **ქვეჯგუფი** — „აისი" (რუსთავი), „იუნოსტი" (ცხინვალი), „სულორი" (ვანი), „ფაზისი" (ფოთი); IV **ქვეჯგუფი** —„განახლება" (დმანისი), „მართვე" (გურჯაანი"), „განთიადი" (აბაშა), „მიმინო" (ფოთი).

მოგვყავს პირველი 2 ტურის შედეგები: „ამირანი"— „მერცხალი" (ქ.) — 3:1, „ამირანი —„მერცხალი" (თ.) — 4:1, „მერცხალი" (ქ.)— „ბურატინო" 2:1, „სიხარული" — „კოსმოსი" 5:0, „სიხარული" — „ავაზა" — 2:0, „კოსმოსი" — „საპოვნელა" 1:0, „საპოვნელა" — „ავაზა" 0:1, „აისი" — „იუნოსტი" 5:0, „აისი" — „ფაზისი 2:0, „იუნოსტი" —„სულორი" 0:1, „სულორი" — „ფაზისი" 4:0, „განახლება" — „მართვე" 1:2, „განახლება" — „მიმინო" 3:1, „მართვე"—„განთიადი" 1:1, „განთიადი" — „მიმინო" 1:0.

ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები შექმნიან ნახევარფინალურ წყვილებს. პირველ ქვეჯგუფში გამარჯვებული შეხვდება მესამე ქვეჯგუფში გამარჯვებულს, ხოლო მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებული — მეოთხე ქვეჯგუფში გამარჯვებულს.

გ. დოლენჯაშვილი.

ჯერ „ფიატი"...

იტალიელ გულშემატკივართა გაოცება გამოიწვია ცნობილი ფეხბურთელის ბეტეგას გადაწყვეტილებამ ტურინის „იუვენტუსიდან" ფეხბურთის სამყაროში ნაკლებად ცნობილ კანადის „ტორონტო ბლიზარდში" გადასვლის თაობაზე.

მაგრამ საქმე ის არის, რომ „იუვენტუსი" ავტოკონცერნ „ფიატის" საკუთრება გახლავთ, „ფიატის" შეფმა ჯ. ანგელიმ კი გადაწყვიტა ბეტეგა კანადაში მიავლინოს, სადაც მისი მთავარი ამოცანა „ფიატის" პროდუქციის რეკლამა იქნება.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 27-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 11 (ფრენბურთი), 16 (ცხენოსნობა), 31 (ფარიკაობა), 40 (ბადმინტონი), 42 (წყალსათხილამურო სპორტი), 49 (შაში).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 2 (ბიატლონი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 35 (მაიბიანი ჰოკეი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

აფროსნები რაკეტების წინააღმდეგ

გფრ-ის აფროსნებმა კილიდან (შლეზვიგ-გოლდშტეინის მიწა) მოაწყვეს თავიანთი იახტების დემონსტრაცია, რომელიც მიმართულია ევროპაში აშშ-ის ახალი ბირთვული რაკეტების იარაღის განლაგების წინააღმდეგ. ისინი მიმოდიოდნენ თავიანთი იახტებით, რომლებზეც გამოკრული იყო ტრანსპარანტები წარწერით: „არავითარი ბირთვული რაკეტები! უზრუნველყავით მშვიდობა!"

წყალზე ამ დემონსტრაციამ მოქალაქეთა და საერთაშორისო რეგატის „კილის კვირეულის" მონაწილეთა ფართო ყურადღება მიიპყრო. ამ ასპარეზობაში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 3 ათასამდე მრბოლი მონაწილეობს.

დემონსტრაციის დროს გავრცელებულ ფურცლებში ნათქვამია, რომ სპორტსმენები მოუწოდებენ მოქალაქეებს წინააღმდეგობა გაუწიონ გამალებულ შეიარაღებას.

„ლელოს" სტუმარია „ნიანგი"



უსიტყვოდ.


„დი-ნა-მო!"
„დი-ნა-მო!"
„დი-ნა-მო!"

რ. ჯაშიას და ლ. მართაშვილის ნახატები.



ჭადრაკი და შაში

არა მარტო საინტერესო, გასართობი და დასასვენებელი თამაშია, არამედ გონების ვარჯიშისა და წვრთნის, მეხსიერების, ყურადღების გამახვილების, სწრაფი ორიენტაციის გამომუშავების საუკეთესო საშუალებაა.

შაშისა და ჭადრაკის მოყვარულებო!

სამომხმარებლო კოოპერაციის კულტსაქონლის მაღაზიებში ყოველთვის არის ჭადრაკისა და შაშის სხვადასხვა სახის კომპლექტი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 06392